ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 18

ქ.ქუთაისი 5 იანვარი 2011წ

N 2 საჯარო სკოლა , საიდენტიფიკაციო კოდი:**212850155** შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორის **სალომე სარალიძეს** სახით, რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და **ს.ს. სილქნეტი**, საიდენტიფიკაციო კოდი: **204566978**, შემდგომში „მიმწოდებული" მისი **იმერეთის ფილიალის დირექტორის გიორგი კამკამიძის** სახით, მეორეს მხრივ დადეს ეს ხელშეკრულება და მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1.ზოგადი პირობები

შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება **სატელეკომუნიკაციო მომსახურების** შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება მის მიწოდებაზე.

კომპიუტერული ფურცელი – CPV კოდი – 79512001.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება **სატელეკომუნიკაციო მომსახურების** შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების წესით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2.2 ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობა საქართველოში არსებულ სტანდარტულ ნორმებთან;

2.3 „შემსყიდველისათვის" მიწოდებული კონკრეტული „მომსახურების" ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე „ხელშეკრულების" დანართების საფუძველზე და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.4 ხელშეკრულების სავარუდო ღირებულებაა თვეში =110= ლარი; ასი ლარი

2.5 შესასყიდი მომსახურების მიწოდების განხორციელება შემსყიდველის მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი არაუგვიანეს **5** დღისა.

3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

3.1 „მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ დაკვეთილი მომსახსურების მიწოდება დაუყოვნებლივ სათანადო დოკუმენტების გაფორმების საფუძველზე;

3.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ისპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა;

3.3 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას მიმწოდებელს მომსახურების საფასური გადაუხადოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, შესაბამისი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე;

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადოს საქონელი , რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულების გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

4. მიღება – ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვების ობიექტი (ან მისი ნაწილი) ჩაითვლება მიღებულად ინსპექტირების ჩატარების სათანადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ–ფაქტურა) გაფორმებისა და შემსყიდველზე საქონლის გადაცემის შემდეგ.